

**უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის
(შიდა მობილობის)
მსურველთა საყურადღებოდ!**

სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 - 2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების ყველა საფეხურზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 წლის 27 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10⁰⁰-და 16⁰⁰ საათამდე ყოველდღე გამოსასვლელი დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სტუ-ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ

შენიშვნა: შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთა დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.